საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№361/24

2024 წელი, 10 ივნისი

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-2/397; 04.06.2024) საქართველოს კანონების პროექტების პაკეტიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის ინიციატორისათვის დაბრუნების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის (№259, 10.06.2024) დასკვნის საფუძველზე დაუბრუნდეს საქართველოს მთავრობას 2024 წლის 4 ივნისს №07-2/397 სარეგისტრაციო ნომრით ინიციირებული „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტების პაკეტიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი „ამნისტიის შესახებ“ ახალი კანონის პროექტის წარმოდგენის მიზნით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — შალვა პაპუაშვილი